KA030194429603019

№ 01-2493 **14 / მარტი / 2019 წ.**

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის წლის 26-27 მარტს ქალაქ ბრიუსელში, ბელგიის სამეფოში, დაგეგმილია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის შეხვედრა.

26 მარტის შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად წარდგენილი იქნება საქართველოს მიერ შრომის სფეროში განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია, ხოლო 27 მარტს გაიმართება შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებასთან, სადაც განიხილება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებები და მათი შესრულების მდგომარეობა.

შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის სამმართველოს უფროსი, ლიკა კლიმიაშვილი.

გთხოვთ, უზრუნველყოთ მივლინებისთვის საჭირო პროცედურების წარმოება მგზავრობის, საცხოვრებელი ფართის, კვებისა და დღიური ნორმის ანაზღაურების გათვალისწინებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი: 5 გვ.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

პაატა ჟორჟოლიანი